დეკანის ბრძანება № 12/2016

კომპანია „ვისოლის“ მიერ სტიპენდიის მოსაპოვებლად სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. კომპანია „ვისოლი“ აწესებს ერთჯერად სტიპენდიას „იმედისმომცემი ახალგაზრდა ფიზიკოსი“ . სტიპენდია გადაეცემა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის ერთ სტუდენტს, რომელსაც აქვს გამორჩეული სამეცნიერო მიღწევები და მაღალი აკადემიური მოსწრება. კომპანიის გადაწყვეტილება უკავშირდება პოლ-შერერის ინსტიტუტში, შვეიცარია, მოღვაწე ქართველი ახალგაზრდა მეცნიერის ზურაბ გუგუჩიას წარმატებულ სამეცნიერო კარიერას. ზურაბ გუგუჩია დასახელდა 2015 წლის იმედის გმირად. სტიპენდია გაიცემა საკონკურსო საფუძველზე, ერთჯერადად. სტიპენდიის ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.
2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკის დეპარტამენტის საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს.
3. სტიპენდია ენიჭება განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევის და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს
4. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
   - განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე
   - ავტობიოგრაფია (CV)
   - ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ
   - ამონაწერი სასწავლო ბარათიდან
   - კომისია უფლებამოსილია კონკურსანტებთან ჩაატაროს გასაუბრება და/ან მოითხოვოს სამეცნიერო მოხსენების გაკეთება
5. კონკურსის შედეგად შეირჩეს 1 სტუდენტი.
6. საკონკურსო განაცხადის მიღება მოხდეს ფაკულტეტის კანცელარიაში 2016 წლის 17 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით.
7. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით
   - არჩილ უგულავა - ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი, არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი,
   - მერაბ ელიაშვილი - ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის გამგე, პროფესორი
   - თამაზ კერესელიძე - ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი
   - ნანა შათაშვილი - ასტროფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი
   - ალექსანდრე შენგელაია - კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი
8. საკონკურსო განაცხადების განხილვა მოხდეს 2016 წლის 25 მაისიდან 1 ივნისამდე.
9. გასაუბრების თარიღს და დროს (საჭიროების შემთხვევაში) ნიშნავს კომისია.
10. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. სათანადოდ გაფორმებული ხელმოწერილი ოქმი ჩაბარდეს ფაკულტეტის კანცელარიას არაუგვიანეს 6 ივნისისა.
11. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
10.05.2016